

**ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკის ფსიქოლოგიის კონტექსტში:  
შრომის, იდენტობისა და გადაწყვეტილების ტრანსფორმაცია**

**ოსებ არჩვაძე**

ეკონომიკის დოქტორი, ევროპის ცენტრალური  
უნივერსიტეტის პროფესორი, [daswreba@yahoo.com](mailto:daswreba@yahoo.com)

**ლია ქურხული**

ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული  
უნივერსიტეტის პროფესორი, [kurkhulilia@yahoo.com](mailto:kurkhulilia@yahoo.com)

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი (AI); ეკონომიკის ფსიქოლოგია; ტრანსფორმაცია; ფსიქოლოგიური ადაპტაცია; უნარებზე დაფუძნებული პოლარიზაცია.

**J.E.L. Classification:** J5, M54,

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2026.31.02>

**ციტირებისთვის:** არჩვაძე, ი., ქურხული, ლ., (2026) ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკის ფსიქოლოგიის კონტექსტში: შრომის, იდენტობისა და გადაწყვეტილების ტრანსფორმაცია. ეკონომიკური პროფილი, ტ. 21, 1(31), გვ. 14-23. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2026.31.02>

**ანოტაცია.** წინამდებარე სტატია განიხილავს ხელოვნური ინტელექტის (AI) გავლენას ეკონომიკის ფსიქოლოგიის კონტექსტში, განსაკუთრებული აქცენტით შრომის, იდენტობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების ტრანსფორმაციაზე. ნაშრომი ეფუძნება ინტერდისციპლინარულ მიდგომას და აერთიანებს ეკონომიკური თეორიისა და ქვევითი მეცნიერებების პერსპექტივებს, რათა გააანალიზოს AI-ის გავლენა ინდივიდუალურ ქცევაზე, შრომით მოტივაციაზე და ბაზრის დინამიკაზე.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს, არამედ იწვევს შრომის ბაზრის სტრუქტურულ ცვლილებებს, მათ შორის პროფესიული როლების ტრანსფორმაციას, უნარებზე დაფუძნებულ პოლარიზაციას და სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის ფსიქოლოგიურ ასპექტებს - მოტივაციის ცვლილებას, პროფესიული იდენტობის დესტაბილიზაციას და ტექნოლოგიური უმუშევრობის შიშის ზრდას.

ნაშრომი ასევე აანალიზებს AI-სთან დაკავშირებულ ქვევით რისკებს, მათ შორის ალგორითმებისადმი გადაჭარბებულ ნდობას, კოგნიტური ჩართულობის შემცირებას, პასუხისმგებლობის დიფუზიასა და გადაწყვეტილების მიღების პარალიზებას. ამასთან, განხილულია ფსიქოლოგიური ადაპტაციის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს იდენტობის მოქნილობას, უწყვეტი სწავლის უნარს, ემოციურ მდგრადობასა და ტექნოლოგიასთან თანამშრომლობის სტრატეგიებს.

სტატიაში დასკვნის სახით არგუმენტირებულია, რომ AI-ის ეპოქაში ეკონომიკური წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინდივიდის ფსიქოლოგიურ ადაპტაციაზე და უნარზე. ეფექტიანად ინტეგრირდეს ტექნოლოგიურად დინამიკურ გარემოში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს კონტექსტს, სადაც AI-ის განვითარება ქმნის როგორც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, ისე სოციალურ და ფსიქოლოგიურ გამოწვევებს, რაც მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციური პოლიტიკისა და ადაპტაციური სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

**შესავალი**

ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ტექნოლოგიურ სისტემას, რომლის მიზანია

ადამიანური ინტელექტისათვის დამახასიათებელი კოგნიტური პროცესების - აზროვნების, სწავლისა და გადაწყვეტილების მიღების - იმი-

ტაცია. მისი განვითარების თანამედროვე ეტაპი აღარ განიხილება მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის კონტექსტში; იგი სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ადამიანის ქცევითი, კოგნიტიური და ემოციური რეაქციების ანალიზში. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის (AI) კვლევა ეკონომიკის ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან გულისხმობს ანალიტიკური ფოკუსის გადატანას ტექნოლოგიური სისტემებიდან ინდივიდზე - მის აღქმაზე, მოტივაციაზე, ქცევით სტრატეგიებსა და შრომისადმი დამოკიდებულებაზე.

AI-ის კონცეპტუალური საფუძვლები ჩამოყალიბდა XX საუკუნის შუა წლებში, როდესაც წამოიჭრა ფუნდამენტური კითხვა: **შესაძლებელია თუ არა ადამიანის ინტელექტუალური პროცესების ფორმალიზაცია და მათი მანქანური იმიტაცია.** თუმცა, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს XXI საუკუნეში, განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, როდესაც ტექნოლოგიური პროგრესი ექსპონენციური ტემპით ვითარდება.

ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა ევოლუციამ არსებითად გარდაქმნა ეკონომიკური სისტემები და შრომითი ურთიერთობები. ეკონომიკის ფსიქოლოგია, როგორც ინტერდისციპლინარული სფერო, იკვლევს, თუ როგორ აღიქვამენ ინდივიდები ამ ტრანსფორმირებულ ეკონომიკურ რეალობას, როგორია მათი ემოციური რეაქციები და რა გავლენას ახდენს აღნიშნული ფაქტორები მათ ქცევაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და საბოლოოდ - კეთილდღეობაზე.

### შრომის ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია

ხელოვნური ინტელექტის განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის ეკონომიკური ქცევის მოდელებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესებს, შრომის ბუნებასა და მოტივაციურ სტრუქტურებს. აღნიშნული ცვლილებები იწვევს შრომის ბაზრის ფუნქციურ გადანაწილებას და განა-

პირობებს შრომის ფსიქოლოგიური ასპექტების ტრანსფორმაციას.

პირველ რიგში, ეს ცვლილება ვლინდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანის როლის ნაწილობრივ ჩანაცვლებაში. ინდივიდები სულ უფრო ხშირად ეყრდნობიან AI სისტემების მიერ გენერირებულ რეკომენდაციებს, რაც ზრდის გადაწყვეტილების მიღების სისწრაფესა და ზოგიერთ შემთხვევაში ეფექტიანობას, თუმცა ამავდროულად ამცირებს ავტონომიურობას.

AI სისტემები განსაკუთრებული ეფექტიანობით ანაცვლებენ რუტინულ და განმეორებად ამოცანებს, რის შედეგადაც მცირდება ასეთი ტიპის სამუშაოების წილი. ეს, ერთი მხრივ, ათავისუფლებს რესურსებს უფრო კრეატიული, სტრატეგიული და კომპლექსური საქმიანობისთვის; თუმცა, მეორე მხრივ, იწვევს პარადოქსულ ეფექტს - გარკვეული საქმიანობები უფრო მეტად ფორმალიზებული და შინაარსობრივად დაცლილი ხდება.

ტექნოლოგიური პროგრესი ასევე მნიშვნელოვნად აფართოებს დისტანციური შრომის შესაძლებლობებს, ამცირებს დროის დანახარჯს და ზრდის მოქნილობას. თუმცა, ამავდროულად, იგი აძლიერებს კონკურენციას როგორც გეოგრაფიულ, ისე რაოდენობრივ ჭრილში: შრომის ბაზარი ლოკალურიდან გლობალურ ფორმატში გადადის, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს, მოიზიდონ საუკეთესო სპეციალისტები მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.

AI-ის პრევალირება ცვლის ცოცხალი შრომის მნიშვნელობას და ზემოქმედებს მოტივაციურ სტრუქტურებზე. მოტივაცია სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება თვითგანვითარებაზე, უნარების განახლებაზე და ადაპტაციაზე, ვიდრე სტაბილურ შემოსავალზე.

შრომის ბაზარი AI-ის პირობებში ერთდროულად განიცდის როგორც სამუშაო ადგილების შემცირებას, ისე ახალი შესაძლებლობების წარმოქმნას. სამუშაოები მთლიანად არ ქრება, თუმცა სწრაფად იცვლება მათი შინაარ-

სი და მოთხოვნები. AI უკვე ასრულებს პროგრამირების, მონაცემთა ანალიზისა და ადმინისტრაციული ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც ამცირებს გარკვეული პოზიციების საჭიროებას. გათავისუფლებული რესურსები გადანაწილდება AI ინფრასტრუქტურასა და მაღალკვალიფიციურ კადრებზე.

განსაკუთრებით მოწყვლადია ის საქმიანობები, რომლებიც ეფუძნება განმეორებად ოპერაციებსა და წესებზე დაფუძნებულ პროცესებს (მაგ., ქოლ-ცენტრები, საბაზისო პროგრამირება, მონაცემთა დამუშავება, ადმინისტრაციული ფუნქციები, etc.). თუმცა, აღნიშნული ტენდენცია არ გულისხმობს ამ პროფესიების სრულ გაქრობას; უფრო მეტად ხდება მათი ტრანსფორმაცია - ერთი ინდივიდი AI-ის დახმარებით ასრულებს უფრო ფართო ფუნქციებს, რაც ამცირებს საჭირო სამუშაო ძალის რაოდენობას.

ამასთანავე, „ტრადიციული“ პროფესიების პარალელურად ჩნდება ახალი, ტექნოლოგიურად ორიენტირებული საქმიანობები (მაგ., AI სპეციალისტები, მონაცემთა მეცნიერები...), ხოლო მრავალი პროფესია იძენს ჰიბრიდულ ხასიათს („ადამიანი + AI“). იზრდება მოთხოვნა ციფრულ კომპეტენციებზე ისეთ სფეროებში, როგორცაა AI/ML ინჟინერია, კიბერუსაფრთხოება, მონაცემთა მეცნიერება და AI პროდუქტების მართვა. შედეგად, შრომის ბაზარი გადადის პრინციპზე: „პროფესია + ტექნოლოგიური უნარები“.

აღნიშნული ცვლილებების ფონზე, ტექნოლოგიური კომპანიები ხშირად ახორციელებენ ორმაგ სტრატეგიას - ამცირებენ სამუშაო ძალას და ზრდიან ინვესტიციებს ხელოვნურ ინტელექტში. შედეგად, შრომის ბაზარი ხდება უფრო დინამიური, თუმცა ამავე დროს - უფრო უთანასწორო.

მაღალკვალიფიციური მუშახელი, რომელიც ეფექტიანად იყენებს AI-ს, იღებს უფრო მეტ სარგებელს, ზრდის პროდუქტიულობასა და კონტროლის განცდას, მაშინ როდესაც დაბალკვალიფიციური მუშახელი აღმოჩნდება

გაზრდილი რისკის პირობებში - გაურკვევლობის, შიშისა და სტრესის ფონზე (Brynjolfsson & McAfee, 2014:171-190). შედეგად **ყალიბდება უნარებზე დაფუძნებული პოლარიზაცია** და ე.წ. „შუა ფენის შეკუმშვა“.

ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ფსიქოლოგიური განზომილება განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშში, რომელიც ზრდის სტრესს, ამცირებს მოტივაციას და საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს პროდუქტიულობაზე. აღნიშნულ პროცესს ამძაფრებს ქვევითი ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი - დანაკარგისადმი მგრძობელობა, რომლის მიხედვითაც ინდივიდები უფრო მძაფრად აღიქვამენ დანაკარგს, ვიდრე ანალოგიური მოცულობის სარგებელს.

შედეგად, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ფსიქოლოგიური პოლარიზაცია, რომელიც ასახავს განსხვავებებს შემდეგ ობიექტურ (შემოსავალი) და სუბიექტურ (კეთილდღეობა) მაჩვენებლებში:

ჯგუფი	ფსიქოლოგიური მდგომარეობა
მაღალკვალიფიციური (AI-სთან მუშავე)	კონტროლის და განვითარების განცდა, მზარდი მწარმოებლურობა
დაბალკვალიფიციური	გაურკვევლობა, შიში, სტრესის ზრდა, მწარმოებლურობის შემცირების მზარდი ალბათობა

ხელოვნური ინტელექტის გავლენა შრომაზე არაერთგვაროვანია. დადებითი ეფექტები მოიცავს ეფექტიანობის ზრდას, რუტინული სამუშაოს შემცირებას და ადამიანის შესაძლებლობების გაფართოებას. ნეგატიური ასპექტები კი უკავშირდება შრომის პროცესში ჩართულობის შემცირებას და როლის დეგრადაციას ზედამხედველობის ფუნქციამდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „metabullshit jobs“-ის ფენომენი, როდესაც ადამიანის საქმიანობა შემოიფარგლება AI-ის მიერ გენერირებული შედეგების გადამოწმებითა და ფორმალური დამუშავებით, რაც ამცირებს

შრომის სუბიექტურ მნიშვნელობას (Graeber, 2018).

საბოლოოდ, ტექნოლოგიური პროგრესი არ არის ნეიტრალური: იგი ზრდის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ შრომაზე და ამცირებს მოთხოვნას დაბალკვალიფიციურზე. ამ პროცესში ყველაზე მაღალი სარგებელი კონცენტრირდება მსხვილ ეკონომიკებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებში.

ამ პირობებში ინდივიდებში ყალიბდება „ტექნოლოგიური უმუშევრობის“ შიში (Frey & Osborne, 2017:255), რომელიც გამოიხატება შფოთვით, დაქვეითებული თვითშეფასებითა და პროფესიული იდენტობის კრიზისით. პარალელურად, იზრდება ე.წ. „უსარგებლო სამუშაოების“ რაოდენობა, რაც შეიძლება გამოიწვიოს ზედაპირულად აქტიური, თუმცა რეალურად არაეფექტიანი ეკონომიკური სისტემა და ფსიქოლოგიურად გადაღლილი სამუშაო ძალა.

### ფსიქოლოგიური ადაპტაცია AI ეპოქაში

ხელოვნური ინტელექტის გავრცელებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტების მინიმიზაციის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ინდივიდის ფსიქოლოგიური მზადყოფნა, რომელიც ეფუძნება არა ტექნოლოგიასთან კონკურენციას, არამედ მისადმი ადაპტაციას. ამ კონტექსტში სტრატეგიული მიდგომა უნდა გულისხმობდეს AI-სთან თანამშრომლობას - მისი გამოყენებას ასისტენტის, იდეების გენერატორისა და ავტომატიზაციის ინსტრუმენტის სახით - ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და პროდუქტიულობის გასაძლიერებლად. ადამიანისა და მანქანის კომპლემენტარული ფუნქციონირება ხელს უწყობს კონტროლის განცდის ზრდას და ამცირებს ტექნოლოგიური შიშის ინტენსივობას.

მიუხედავად იმისა, რომ AI ხშირად აჩენს განცდას - „მანქანა ჩემზე უკეთესია“, რაც შესაძლოა ნეგატიურად აისახოს თვითშეფასებაზე, არ არის მიზანშეწონილი ადამიანური შესაძ-

ლებლობების შედარება ტექნოლოგიის სიჩქარესა და მეხსიერებასთან. ანალიტიკური აქცენტი უნდა გადავიდეს იმ უნარებზე, რომლებიც AI-სთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია - ინტუიცია, ემოციური ინტელექტი და ეთიკური განსჯა. შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს უნიკალური ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე.

AI ეპოქაში ეფექტიანი ადაპტაცია მოითხოვს შრომის მნიშვნელობის რეფორმულირებას. ტრადიციული იდენტობის მოდელი, რომელიც პროფესიულ როლს ეფუძნება („მე ვარ ის, რასაც ვსაქმიანობ“), თანდათან იცვლება უფრო მოქნილი პარადიგმით, რომელიც ორიენტირებულია უნარებსა და კრეატიულობაზე („მე ვარ ის, რასაც ვქმნი და ვიაზრებ“). ტექნოლოგიური ტრანსფორმაციები იწვევს დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ნაწილობრივ დევალვაციას, რის შედეგადაც სამუშაო სტაჟი კარგავს აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობის ფუნქციას.

ამ პირობებში, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს არა კონკრეტული პროფესიული კუთვნილება, არამედ სწრაფი სწავლის უნარი, ტექნოლოგიებთან ადაპტაციის ხარისხი და შემოქმედებითი/კრიტიკული აზროვნება. შესაბამისად, ინდივიდისათვის მნიშვნელოვანია საკუთარი თავის აღქმა არა ერთი პროფესიის, არამედ მრავალფეროვანი უნარების კომპლექსის მატარებლად, რაც ამცირებს ცვლილებებით გამოწვეულ შოკს და ზრდის ადაპტაციურობას.

პრაქტიკულ ჭრილში ეს გულისხმობს პროფესიულ იდენტობაზე ნაკლებ მიჯაჭვულობას და საკუთარი „უნარების პორტფელის“ (skill set) განვითარებასა და დივერსიფიკაციას. ასეთი მიდგომა ამცირებს რისკებს სამუშაო გარემოსა და მოთხოვნების სწრაფი ცვლილების პირობებში.

AI ეპოქაში შრომითი კაპიტალის ძირითადი ფორმა ხდება არა სტატიკური ცოდნა, არამედ სწავლის სისწრაფე, ცვლილებების მიღების

**უნარი და გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა.** ამასთან, „დისკომფორტის ზონაში“ ყოფნა - ახალი და უცნობი ამოცანების შესრულება - უნდა იქცეს ნორმად, რაც ხელს უწყობს შფოთვის შემცირებას და ფსიქოლოგიური მოქნილობის განვითარებას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფსიქოლოგიური მდგრადობა (resilience), რომელიც მოიცავს სტრესის მართვას, ემოციურ რეგულაციას და გარდამავალი პერიოდების, როგორც გარდუვალი პროცესის, მიღებას. პრაქტიკული თვალსაზრისით ეფექტიანია ისეთი მეთოდები, როგორცაა მედიტაცია, ფიზიკური აქტივობა და ინფორმაციული დატვირთვის რეგულირება.

მნიშვნელოვანი რისკი უკავშირდება იდენტობის მონოპროფილურობას - როდესაც ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია მთლიანად ერთ პროფესიაზეა დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში დასაქმების მოწყვლადობა მნიშვნელოვნად იზრდება. შესაბამისად, რეკომენდებულია მულტიროლური იდენტობის ფორმირება, რომელიც აერთიანებს პროფესიულ, კრეატიულ და სოციალურ ასპექტებს. აღნიშნული მიდგომა ზრდის ფსიქოლოგიურ სტაბილურობას და ამცირებს შოკს ტრანსფორმაციულ პროცესებში.

თანამედროვე შრომის ბაზარზე კარიერასულ უფრო ნაკლებად წარმოადგენს ხაზოვან და პროგნოზირებად პროცესს; იგი იქცევა არაწრფივ, დინამიკურ და ხშირად არაპროგნოზირებად ტრაექტორიად. შესაბამისად, გაურკვევლობა უნდა აღიქმებოდეს არა როგორც საფრთხე, არამედ როგორც ახალი ნორმა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ხელოვნური ინტელექტი ვერ ანაცვლებს ადამიანის მიერ ცხოვრების აზრის კონსტრუირებას - ეს ფუნქცია კვლავ ინდივიდის ხელში რჩება.

ამრიგად, AI ეპოქისთვის ფსიქოლოგიური მზადყოფნა მოიცავს იდენტობის მოქნილობას, ცვლილებების მიღებას, ადამიანური უნარების დაფასებას და ტექნოლოგიასთან თანამშრომლობით ურთიერთობას. აღნიშნული ფაქტორე-

ბი პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ წარმატებასთან - ფსიქოლოგიურად ადაპტირებული ინდივიდები, როგორც წესი, უფრო კონკურენტუნარიანები და წარმატებულები არიან.

### AI-სთან დაკავშირებული რისკები

ხელოვნური ინტელექტის გავრცელება წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ფსიქოლოგიურ-ეკონომიკურ ფენომენს. ქცევითი ეკონომიკის პერსპექტივიდან იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი რისკი, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე და ბაზრის დინამიკაზე.

ერთ-ერთი ცენტრალური რისკია AI სისტემებისადმი გადაჭარბებული ნდობა. ადამიანები ხშირად ენდობიან ალგორითმულ რეკომენდაციებს მაშინაც კი, როდესაც ისინი მცდარია, რაც ამცირებს კრიტიკული აზროვნების დონეს. ასეთი „ბრმა ნდობა“ შეიძლება გადაიქცეს სისტემური შეცდომების წყაროდ, რაც იწვევს არაეფექტიან ეკონომიკურ გადაწყვეტილებებსა და ინვესტიციებს. გრძელვადიან პერსპექტივაში, AI-ზე დამოკიდებულება ამცირებს კოგნიტურ ჩართულობას და შესაძლოა უარყოფითად აისახოს სამუშაო ძალის ხარისხსა და ეკონომიკურ პროდუქტიულობაზე.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ასევე ზრდის პასუხისმგებლობის დიფუზიის ალბათობას, რაც ართულებს გადაწყვეტილების ავტორისა და შედეგის წყაროს იდენტიფიცირებას და ქმნის მმართველობითი და ინსტიტუციური რისკების საფუძველს. აღნიშნული ფენომენი მჭიდროდ არის დაკავშირებული ე.წ. „მორალურ განრიდებასთან“ (*moral disengagement*), რომელიც სოციალური კოგნიტური თეორიის ფარგლებში გაანალიზებულია Albert Bandura-ს მიერ (Bandura, 1999:193). აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს იმ კოგნიტურ-აფექტურ მექანიზმთა ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი დროებით დეაქტივაციას უკეთებს საკუთარ მორალურ თვითრეგულაციას და ამგზობით ამართლებს ისეთ ქცევას, რომელიც წინა-

აღმდევობაში მოდის მის ეთიკურ სტანდარტებთან.

ეკონომიკის ფსიქოლოგიის კონტექსტში, *moral disengagement* ვლინდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტები ამცირებენ საკუთარ პასუხისმგებლობის განცდას არაეთიკური ან რისკიანი გადაწყვეტილებების მიმართ, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილებები დელეგირებულია ალგორითმულ სისტემებზე. ასეთ ვითარებაში ინდივიდები ნაკლებად აღიქვამენ საკუთარ როლს შედეგებში, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობის სუბიექტური განცდის შემცირებას და ზრდის არაეთიკური ან სოციალურად საზიანო ეკონომიკური ქცევის ალბათობას.

დამატებით პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციული გადატვირთვა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილების მიღების პარალიზება (analysis paralysis). ასეთ პირობებში ადამიანები ხშირად აჭიანურებენ ან საერთოდ არ იღებენ გადაწყვეტილებებს, ან პასუხისმგებლობას სრულად ანდობენ AI-ს, რაც ამცირებს ინდივიდუალურ ანგარიშვალდებულებას.

აღნიშნულ რისკებს ემატება უფრო ფართო, სისტემური საფრთხე, რომელიც უკავშირდება AI-ის ავტონომიურობის ზრდას. ტექნოლოგიური პროგრესი განაპირობებს მისი შესაძლებლობების სწრაფ გაფართოებას, რაც, ერთი მხრივ, ქმნის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს, თუმცა, მეორე მხრივ, წარმოშობს სერიოზულ რისკებსაც. „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაკავშირებულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, გამოხატვის თავისუფლების, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებთან“ (ერისთავი, დავითური, 2021:7). ამის გარდა, არსებობს საფრთხე, რომ AI სისტემები გასცდნენ ადამიანური კონტროლის ფარგლებს. ასეთ სცენარში მათი ქცევა შესაძლოა არ შეესაბამებოდეს შემქმნელთა ინტერესებს და წარმოშვას ეთიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური გამოწვევები, მათ შორის - პოტენცი-

ურად ეგზისტენციური საფრთხეებიც (თალაკვაძე, არჩვაძე, 2026:54).

## დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკის ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან წარმოჩნდება როგორც მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური ფენომენი, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს და არსებითად გარდაქმნის ადამიანის როლს, ფუნქციასა და თვითაღქმას თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. იგი აღარ წარმოადგენს მხოლოდ ინსტრუმენტულ ინოვაციას; AI იქცევა ქცევითი და კოგნიტური ტრანსფორმაციების მნიშვნელოვან კატალიზატორად, რომელიც ზემოქმედებს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებზე, აღქმებზე, მოტივაციურ სტრუქტურებსა და სოციალურ ურთიერთობებზე.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ხელოვნური ინტელექტი ასოცირდება პროდუქტიულობის ზრდასთან, ოპერაციული ხარჯების შემცირებასთან, ინოვაციების დაჩქარებასა და ახალი ღირებულების შექმნასთან. თუმცა, პარალელურად იგი აძლიერებს შემოსავლების უთანასწორობასა და სოციალურ დიფერენციაციას. ფსიქოლოგიური ფაქტორების - მათ შორის კოგნიტური მიკერძოებების - გავლენით, AI სისტემებმა შესაძლოა გაამწვავოს ბაზრის არასტაბილურობა, გაზარდოს ფინანსური ბუშტების ფორმირების და ეკონომიკური კრიზისების ალბათობა. ამასთანავე, ალგორითმები ხშირად რეპროდუცირებენ არსებულ სტერეოტიპებს, რაც ქმნის დამატებით ეთიკურ და სოციალურ გამოწვევებს.

ხელოვნური ინტელექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამუშაო ადგილების ჩანაცვლებით; იგი ცვლის ეკონომიკური ქცევის ფუნდამენტურ ლოგიკას. ეკონომიკური სუბიექტები მოქმედებენ გარემოში, სადაც გადაწყვეტილებები მზარდად ეფუძნება ალგორითმულ

ანალიზს, ხოლო შრომითი მოტივაცია ყალიბდება კონტროლისა და ავტონომიის დინამიკურ ბალანსში. აღნიშნული რეალობა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენციებს, არამედ მაღალ დონეზე განვითარებულ ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, კრიტიკულ აზროვნებასა და ემოციურ მდგრადობას.

AI ეპოქაში წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინდივიდის უნარზე, მოახდინოს იდენტობის მოქნილი რე-ფორმულირება, მიიღოს ცვლილებები და ეფექტიანად ითანამშრომლოს ინტელექტუალურ სისტემებთან. სწორედ ასეთი უნარების მქონე ინდივიდები ახერხებენ უფრო ეფექტიან ინტეგრაციას ახალ ეკონომიკურ გარემოში, აღწევენ მაღალ პროდუქტიულობას და სუბიექტურ კეთილდღეობას.

ავტომატიზაციისა და ალგორითმული მართვის ზრდა ცვლის სამუშაოს შინაარსს: ამცირებს რუტინული საქმიანობის მნიშვნელობას და ზრდის კოგნიტური, კრეატიული და ადაპტაციური უნარების მოთხოვნას. აღნიშნულ პროცესს თან ახლავს შრომის ბაზრის პოლარიზაცია, პროფესიული იდენტობების რეორგანიზაცია და დასაქმების სტრუქტურული ცვლილებები. ეკონომიკის ფსიქოლოგიის ჭრილში ეს ტრანსფორმაციები ზემოქმედებს შრომით მოტივაციაზე, უსაფრთხოების აღქმასა და პროფესიულ თვითრეალიზაციაზე - სტაბილურობაზე ორიენტირებული პარადიგმა თანდათან იცვლება განვითარებაზე, თვითეფექტურობასა და უწყვეტ სწავლებაზე დაფუძნებული მოდელით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტრანსფორმაციას. ალგორითმების მზარდი როლი ამცირებს კოგნიტურ დატვირთვას, თუმცა ამავდროულად ზრდის ტექნოლოგიურ სისტემებზე დამოკიდებულებას და აჩენს ნდობის, კონტროლისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების პრობლემებს. ამ პირობებში ყალიბდება ე.წ. „გამდიერებული რაციონალურობა“ (augmented rationality), სადაც ადამიანის ინტუიცია და მან-

ქანური ანალიზი ურთიერთდამატებით ფუნქციონირებს.

ხელოვნური ინტელექტის გავრცელება ასევე განაპირობებს პროფესიული და სოციალური იდენტობების მოქნილობასა და დინამიკურობას, თუმცა ზრდის გაურკვევლობისა და ფსიქოლოგიური სტრესის დონეს. ინდივიდები მუდმივად დგანან საკუთარი უნარებისა და როლის გადაფასების საჭიროების წინაშე, რაც ერთდროულად წარმოადგენს როგორც განვითარების შესაძლებლობას, ისე ფსიქოლოგიურ გამოწვევას. უნარებზე დაფუძნებული პოლარიზაციის გაღრმავება და შრომის ბაზრის სტრუქტურული ტრანსფორმაცია წარმოშობს სოციალურ-ეკონომიკურ რისკებს, რომელთა ეფექტიანი მართვა მოითხოვს ადაპტაციურ შრომით პოლიტიკას, განათლებისა და გადამზადების სისტემების გამდიერებას, კონკურენციის პოლიტიკის დახვეწას და შესაბამისი ნორმატიული ჩარჩოს ფორმირებას, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ეთიკურ ასპექტებს.

საქართველოს კონტექსტში აღნიშნული პროცესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის განვითარება უკვე დაწყებულია, თუმცა იგი ჯერ კიდევ ტრანსფორმაციის საწყისიდან შუალედურ ეტაპზე იმყოფება. AI უკვე აღიქმება არა როგორც არჩევითი ტექნოლოგია, არამედ როგორც კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ამავდროულად, კვლავ არსებობს ერთიანი რეგულაციური ჩარჩოსა და სტრატეგიული ხედვის დეფიციტი.

საქართველოს წინაშე დგას როგორც მნიშვნელოვანი შესაძლებლობები - ინოვაციური ეკონომიკის განვითარების, შრომის ბაზრის მოდერნიზაციისა და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიმართულებით - ასევე სერიოზული გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება სოციალური უთანასწორობის ზრდას, შრომითი უსაფრთხოების შემცირებასა და ფსიქოლოგიური ადაპტაციის აუცილებლობას. შე-

საბამისად, მომავალი პერიოდი ხასიათდება ერთდროულად მაღალი გაურკვეველობითა და განვითარების პოტენციალით, სადაც წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება როგორც ინსტიტუციური პოლიტიკის ეფექტიანობაზე, ისე ინდივიდუალური და კოლექტიური ფსიქოლოგიური მზადყოფნის დონეზე.

### ლიტერატურა:

1. ერისთავი, დ., დავითური, გ., (2021). ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში: კანონმდებლობა და პრაქტიკა. თბილისი.
2. თალაკვაძე, გ., არჩვაძე, ი. (2026). ხელოვნური ინტელექტის ფუნქციები და დინამიკა თანამედროვე პირობებში.“ ახალი ეკონომისტი, N1.
3. „ხელოვნური ინტელექტის შესახებ საზოგადოებრივი შეხედულებები – განხილვა საქართველოს მაგალითზე.“ 2025. BTUAI.ge, 21 თებერვალი.
4. Bandura, A., (1999). Moral Disengagement in the Perpetration of Inhumanities. *Personality and Social Psychology Review* 3 (3): 193–209.
5. Brynjolfsson E., McAfee A., (2014). *The Second Machine Age: Work, Progress, and Prosperity in a Time of Brilliant Technologies*. New York: W. W. Norton & Company.
6. Frey, C., Osborne, M., (2017). The Future of Employment: How Susceptible Are Jobs to Computerisation? *Technological Forecasting and Social Change* 114: 254–280.
7. Graeber, D., (2018). *Bullshit Jobs: A Theory*. New York: Simon & Schuster.
8. “Meta to Lay Off 10% of Employees in May.” 2026. *The Wall Street Journal*, April 23.
9. “Microsoft and Meta Announce Large Staff Reductions as They Spend Big on AI.” 2026. *The Guardian*, April 24.